



ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის 6 თვეში განხილულ საქმეთა შედეგების შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული დარღვევების შესწავლა-ანალიზი:
 - 2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.3 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას დაშვებული დარღვევები
3. კონსტიტუციური წარდგინება
4. დასკვნა

1. შესავალი

2014 წლის 6 თვეში სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო სასამართლოების განაჩენების გამო საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეებზე დასაშვებობა შეამოწმა 211 პირის მიმართ, აქედან: საქმეები 152 პირის მიმართ შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, ხოლო 59 პირის მიმართ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან. დასაშვებობა შემოწმებული საქმეებიდან 194 პირის მიმართ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად, ხოლო 1 პირის მიმართ არ იქნა განხილული.

დაშვებული საქმეებიდან საკასაციო საჩივარი განხილულია 16 პირის მიმართ, აქედან: 9 პირის მიმართ საქმეები შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან (აღნიშნულ საქმეებზე სააპელაციო საჩივრები განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 6 საქმეზე, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2 საქმეზე და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 1 საქმეზე), ხოლო 7 პირის მიმართ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან (აღნიშნულ საქმეებზე სააპელაციო საჩივრები განხილულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 3, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 3 და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1 საქმეზე).

განხილვის შედეგად:

- 2 საქმეზე განაჩენი დატოვებულია უცვლელად (2-ვე საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან);
- 1 საქმეზე გაუქმდა გამამტყუნებელი განაჩენი და მის ნაცვლად გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი (საქმე შემოსულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან);
- 4 საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და სასჯელი (3 საქმე შემოსულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან, 1 საქმე – თბილისის სააპელაციო სასამართლოდან);

- 1 საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია (საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან);
- 6 საქმეზე შეიცვალა სასჯელი (აქედან: 4 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 2 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან);
- 1 საქმეზე განაჩენი შეიცვალა ნივთმტკიცების ნაწილში (საქმე შემოსულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან);
- 1 საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება (საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან).

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრით განხილულ იქნა 669 საქმე,
საიდანაც: 7 საქმე განუხილველი დარჩა საჩივრის უკან გათხოვნის გამო;
1 საქმეზე საჩივარი დარჩა განუხილველი ვადის დარღვევის გამო;
15 საქმე არ იქნა განხილული;
560 გადაწყვეტილება დატოვებულია უცვლელად;
სასჯელი შეიცვალა 81 საქმეზე (61 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 20 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან);
2 საქმეზე გაუქმდა განაჩენი (1 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 1 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან);
3 საქმეზე განჩინებები შუამდგომლობების დაუშვებლად ცნობის შესახებ გაუქმდა და საქმეები გადაეცა სასამართლოს ხელახლა განსახილველად (სამივე საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან).

2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების შესწავლა-ანალიზი

2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

საკასაციო პალატის 16.06.2014 წლის განაჩენით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 7.05.2014 წლის განჩინება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე უარის თქმის შესახებ და დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულს შორის (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.04.2014 წლის საოქმო განჩინებაზე, რომლითაც არ დამტკიცდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე იყო დაუსაბუთებელი, რის გამოც არ გაიზიარა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მოტივები შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათის, მისი პიროვნებისა და წარსული ცხოვრების, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მან ბრალად შერაცხული ქმედება ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის პერიოდში, შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი სამართლიანია. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ წარმოდგენილი უნდა იყოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის წერილობითი თანხმობა, საკასაციო პალატა აღნიშნულს არ დაეთანხმა და განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული

ჩაიდინა, გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია კვლავ პირობითი მსჯავრის გამოყენება, თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს მთავარ პროკურორთან ან მის მოადგილესთან. შუამდგომლობის ავტორმა – პროკურორმა სხდომაზე დაადასტურა, რომ მას ეს საპროცესო შეთანხმება შეთანხმებული ჰქონდა მთავარი პროკურორის მოადგილესთან. იმის გათვალისწინებით, რომ კანონისმიერ (საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი) მოთხოვნას არ წარმოადგენს აღნიშნულ ვითარებაში წერილობითი თანხმობის არსებობა, საკასაციო პალატამ საკმარისად მიიჩნია პროკურორის ზეპირი განცხადება და დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება (№167აპ-14 16.06.14).
საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა ასევე №155აპ-14 3.06.2014 საქმეზე.

საკასაციო პალატის 14.04.2014 წლის განჩინებით პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა 21.02.2014 წლის მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.03.2014 წლის განჩინება დარჩა უცვლელად (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 21.02.2014 წლის განჩინებაზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე მოცემული პირობებით არ უნდა დამტკიცდეს და სისხლის სამართლის საქმე უნდა დაუბრუნდეს თბილისის პროკურატურას, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით სასამართლო ვერ იმსჯელებს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის დანიშვნის შესახებ, კერძოდ, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმის დამატებაზე ახლად დანიშნულ სასჯელზე, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) თანახმად, 29.04.2010 წლის განაჩენის გამოტანისას განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის დანიშვნისას იმსჯელა მხოლოდ წინა განაჩენით დანიშნულ ძირითად სასჯელზე და საერთოდ არ შეეზო დამატებით დანიშნული სასჯელის – ჯარიმის მოუხდელ ნაწილს, რაც ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, მთლიანად უნდა დაემატებინა ახლად დანიშნული სასჯელისათვის. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.10.2009 წლის განაჩენი დამატებით დანიშნული სასჯელის ნაწილში დღეის მდგომარეობით ფაქტობრივად აღუსრულებელია. იმ შემთხვევაში, თუ თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.04.2010 წლის განაჩენით დ. კ-ს განაჩენთა ერთობლიობით განსაზღვრული ექნებოდა წინა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელის მოუხდელი ნაწილიც (რაც დღეის მდგომარეობით იქნებოდა აღუსრულებელი), სასამართლო უფლებამოსილი იქნებოდა, დაეკმაყოფილებინა პროკურორის შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე (№100აპ-14 14.04.14).

2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

საკასაციო პალატის 28.01.2014 წლის განაჩენით ცვლილება შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 24.09.2013 წლის განაჩენის სასჯელის ნაწილში (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 9.07.2013 წლის განაჩენზე, რომლითაც თ. შ-ძე მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით).

საკასაციო პალატამ განმარტა: საქმის მასალების მიხედვით, თ. შ-მე აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს 28.01.2004 წლის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზემოაღნიშნული კანონიერ ძალაში შესული განაჩენი არ აღსრულებულა და, შესაბამისად, თ. შ-ს ამ განაჩენით დანიშნული სასჯელი არ მოუხდია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება შეიტანა: „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მსჯავრდებულ თ. შ-ს აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს 28.01.2004 წლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირა ერთი მეოთხედით, რამაც შეადგენა 3 წელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მოსახდელად განუსაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2000 ლარი (№162აპ-13 28.01.14).

საკასაციო პალატის 12.02.2014 წლის განაჩენით ცვლილება შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 8.07.2013 წლის განაჩენის კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილებში. მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 19,108 მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 122-ე მუხლზე და სასჯელად, ნაცვლად 7 წლისა, განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 27.03.2013 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეაფასა და კვალიფიკაციაც არასწორად განსაზღვრა, როდესაც მსჯავრდებულ ა. ხ-ს მიერ ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა.

საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ა. ხ-ს ქმედებაში იკვეთება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება. მართალია, მსჯავრდებულ ა. ხ-ს დაზარალებულ მ. ა-სგან შეექმნა აგრესიისაგან თავის დაცვის საჭიროება და მოგერიების ვითარება, მაგრამ პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულზე თავდასხმა, მიუხედავად ინტენსივობისა, არ ატარებდა ისეთ საშიშ ხასიათს (რეზინით იზოლირებული ველოსიპედის ე.წ. ტროსის დარტყმა) მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, რომ მოსაგერიებლად დაზარალებულისათვის დანით მიეყენებინა მუცლის ღრუში შემავალი, ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება. ამდენად, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, მსჯავრდებულის ქმედება აშკარად შეუსაბამოა თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, რაც წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას (თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან – სსკ-ის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი) (№142აპ-13 12.02.14).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 25.02.2014 წლის განაჩენით ცვლილება შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.10.2013 წლის განაჩენის სასჯელის ნაწილში (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2.07.2013 წლის განაჩენზე).

დიდმა პალატამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი განაჩენთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპით სასჯელის განსაზღვრის ნაწილში უკანონოდ მიიჩნია. დიდმა პალატამ მიუთითა, რომ მსჯავრდებულ შ. ქ-სთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საპროცესო კოდექსის იმპერატიული დანაწესი საუარესოდ შებრუნების აკრძალვის შესახებ, რითაც დაარღვია სსსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილი და **განმარტა**, რომ განაჩენთა ერთობლიობისას სახელმწიფო ბრალმდებელს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის და, შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს ასეთივე პოზიცია ეკავა პირველი ან/და სააპელაციო ინსტანციის სასამართლო(ებ)ში. შესაბამისად, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს აღნიშნულ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დაუფიქსირებია პოზიცია, შემდგომში იმავე საკითხზე მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით გასაჩივრება სამართლებრივად საფუძველს მოკლებული და უპერსპექტივოა (**№227აპ-13 25.02.14**).

საკასაციო პალატის 26.03.2014 წლის განაჩენით ცვლილება შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2.10.2013 წლის განაჩენის კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილებში (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 28.05.2013 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეაფასა და კვალიფიკაციაც არასწორად განსაზღვრა, როდესაც მსჯავრდებულ ხ. ზ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ის 19,160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ბინაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ შესვლის მცდელობაში, რომელიც არღვევს ბინის ხელშეუხებლობას, ჩადენილი ძალადობის მუქარით, მაშინ, როდესაც ხ. ზ-მა ჩაიდინა იძულება - ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ე.ი. ფსიქიკური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2.10.2013 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ხ. ზ-ის ქმედება სსკ-ის 19,160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 150-ე მუხლის პირველ ნაწილზე (**№202აპ-13 26.03.14**).

საკასაციო პალატის 23.04.2014 წლის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.01.2014 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.11.2013 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: სასამართლობა, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, უნდა დადგინდეს დანაშაულის ჩადენის დროს მისი (ნასამართლობის) არსებობა/არარსებობით და არა გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს არსებული მდგომარეობით, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია მსჯავრდებულ ა. ყ-ს შემთხვევაში, როდესაც მიუთითა, რომ მას პასუხისმგებლობის

დამამძიმებელი გარემოება – ნასამართლობა არ გააჩნდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს (ა. ყ-ს 24.09.2013 წელს, შემოწმებისას, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი, არსებული ნასამართლობა შეწყალებით მოეხსნა 2.10.2013 წელს, აღნიშნულ ფაქტზე სს დევნა დაიწყო 19.10.2013 წელს).

იმის გამო, რომ საქმეზე არ იყო წარმოდგენილი ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი, სსკ-ის 308-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მოკლებული იყო შესაძლებლობას, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების – ნასამართლობის – გათვალისწინებით ემსჯელა მსჯავრდებულისათვის სასჯელის დამძიმების თაობაზე, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს განაჩენით შემცირებული სასჯელი დარჩა უცვლელად (№45აპ-14 23.04.14).

საკასაციო პალატის 30.05.2014 წლის განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 30.01.2014 წლის განაჩენის ნივთმტკიცების ნაწილში შევიდა ცვლილება (ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1.11.2013 წლის გასაჩივრებული განაჩენიდან ამორიცხა მითითება ნივთმტკიცების კონფისკაციის თაობაზე და ჩათვალა, რომ მსჯავრდებულის მფლობელობაში არსებული საჯარიმო ავტოსადგომზე გაჩერებული სატვირთო ავტომანქანა განაჩენის აღსრულების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს).

საკასაციო პალატის განაჩენით გასაჩივრებულ განაჩენში შევიდა ცვლილება ნივთმტკიცების ნაწილში შემდეგი მიმართებით: მსჯავრდებულის მფლობელობაში არსებული სატვირთო ავტომანქანა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს (№93აპ-14 30.05.2014).

საკასაციო პალატის 16.05.2014 წლის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.01.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ, მსჯავრდებული გამართლდა სსკ-ის 238¹-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 21.10.2013 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა ბ. მ-მა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა 2013 წლის 15 მარტს, რა დროსაც ამ დანაშაულის საკანონმდებლო კონსტრუქცია იყო შემდეგი შინაარსის: „21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება“. 2013 წლის 11 დეკემბრის კანონით ამ ქმედების ერთი ნაწილი, კერძოდ: „21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება“, რაშიც ბ. მ-ს დაედო მსჯავრი, შეიცვალა შემდეგი სახის ახალი საკანონმდებლო კონსტრუქციით: „ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულსახელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი კანონის შესაბამისად, მსჯავრდებული ბ. მ-ი არ არის განმეორებით ადმინისტრაციულსახელდადებული პირი ცივი იარაღის ტარებისათვის, რის გამოც ამ ნაწილში უნდა გამართლდეს (№76აპ-14 16.05.2014).

საკასაციო პალატის 13.06.2014 წლის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 6.03.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ, მსჯავრდებული გამართლდა სსკ-ის 238¹-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 23.12.2013 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა ნ. პ-მა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა 2013 წლის 31 ივლისს, რა დროსაც ამ დანაშაულის 1-ლი ნაწილის შემადგენლობისათვის საკმარისი იყო ნასამართლეთი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შემადგენლობას გვაძლევდა პირის წარსულში მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობა. მოცემულ შემთხვევაში ნ. პ-სი ნასამართლეთი იყო მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და, შესაბამისად, მისმა ქმედებამ მოგვცა მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლეთი პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულის შემადგენლობა.

2013 წლის 11 დეკემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვარს, შეიცვალა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისპოზიციის ნაწილი იმ მიმართებით, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევს მხოლოდ განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი ცივი იარაღის ტარებისათვის, რა დროსაც მნიშვნელობა არა აქვს არც წარსულში ნასამართლობას და არც ასაკს. რაც შეეხება ამ დისპოზიციის მე-2 ნაწილს – „ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარებას“, იგი დარჩა უცვლელად, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობა მოგვცა პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენამ არაერთგზის ან განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეთი პირის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი კანონის თანახმად, ვინაიდან მსჯავრდებული არ არის განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი ცივი იარაღის ტარებისათვის, ესე იგი მის ქმედებაში არ არის სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შესაბამისად, წარსულში მისი ნასამართლობა მძიმე დანაშაულისათვის ვერ მოგვცემს საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც მსჯავრდებული უნდა გამართლდეს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დვ.რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში (**№103აპ-14 13.06.2014**).

საკასაციო პალატის 17.06.2014 წლის განაჩენით ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.11.2013 წლის განაჩენის სასჯელის ნაწილში (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.08.2013 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ მიუთითა: გამოკვლევული მტკიცებულებებით არ დადასტურდა, რომ ი.წ-ი, გარდა ავტომანქანაში არსებული ნივთებისა, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა რ. ა-ს კუთვნილ ავტომანქანასაც, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია. ამ ნაწილში განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის,

259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნას, რომლის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს, ხოლო საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. აღნიშნულის გამო, ბრალდების ამ ნაწილში (ავტომანქანის დაუფლების ფაქტი) მსჯავრდებული გამართლდა. თუმცა, ამ გარემოებამ გავლენა არ მოახდინა მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციაზე, ვინაიდან ქურდობა, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, გულისხმობს არა მხოლოდ უშუალოდ სატრანსპორტო საშუალების დაუფლებას, არამედ – მისი შემადგენელი ნაწილებისაც. ამასთან, საკასაციო პალატამ, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულ ი. წ-ს დანიშნული სასჯელი შეუმსუბუქა (№218აპ-13 17.06.2014).

საკასაციო პალატის 24.06.2014 წლის განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 7.11.2013 წლის გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმდა და მის ნაცვლად დადგინდა გამამართლებელი განაჩენი (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 28.06.2013 წლის გამამართლებელ განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების წინასწარი განზრახვით, საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით ბოროტად გამოყენებას, რაც იწვევს სახელმწიფო ინტერესის არსებით დარღვევას. წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი არ დასტურდება გ. გ-ს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტი. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მას სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში არ ჰქონდა არათუ ვალდებულება, არამედ უფლებაც კი, ავტომანქანის ჩაბარების ეტაპზე დაედგინა ავტომანქანის საბაზრო ფასი (ექსპერტების, სხვა სპეციალისტების მოწვევის ან სხვა გზით) და, შესაბამისად, მოეხდინა სატენდერო პირობებით განსაზღვრული ფიქსირებული ფასის კორექტირება. გ. გ-მე ამ ეტაპზე, ხელშეკრულების თანახმად, როგორც ხელშეკრულების შესრულებაზე მაკონტროლებელი პირი, ვალდებული იყო, გაეწია მხოლოდ ტექნიკური კონტროლი (დაედგინა მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებთან), რაც მან განახორციელა და სადავო არ არის. გ. გ-ს არც შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით ეკისრებოდა ავტომანქანის ჩაბარების ეტაპზე მისი საბაზრო ღირებულების დადგენის მოვალეობა. ამდენად, საკასაციო პალატის მითითებით, გ. გ-მ ავტომანქანა ჩაიბარა კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად და, შესაბამისად, მოახდინა ანგარიშსწორება. პალატამ არ შეაფასა ტენდერის გამოცხადების, ჩატარებისა და ხელშეკრულების გაფორმების პროცედურების კანონიერება და ამ პროცესში გ. გ-ს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების არსებობა-არარსებობის საკითხი, ვინაიდან მას ბრალი აღნიშნულისთვის წარდგენილი არ ჰქონია. რაც შეეხება ავტომანქანის ჩაბარების ეტაპს, მიჩნეულ იქნა, რომ მისი ქმედება არ წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას (№230აპ-13 24.06.14).

2.3 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას დაშვებული დარღვევები

გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 19.07.2013 წლის განჩინება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ბ. ხ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან მსჯავრდებულ ბ. ხ-ის მიმართ განსაზღვრული სასჯელი გადავადებული იყო, ამდენად, საქმეზე სამართალწარმოება არ იყო დასრულებული. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ბ. ხ-ის მიმართ კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება წარმოადგენს განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს სამართალწარმოებადასრულებულ სისხლის სამართლის საქმეზე. სსკ-ის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილ ამ კოდექსის 59-ე მუხლის რედაქციას აქვს უკუძალა იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც დანაშაულთა/განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელი დაენიშნა აღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე არსებული რედაქციის შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში ბ. ხ-ს სასჯელი დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით დაენიშნული აქვს ახალი კანონის ამოქმედებამდე, შესაბამისად, 2013 წლის 17 აპრილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში შესულ ცვლილებას აქვს უკუძალა მსჯავრდებულ ბ. ხ-ის მიმართ დაენიშნულ სასჯელზე (№679აგ-13 24.01.14). ანალოგიური შინაარსისაა საქმე №1389აგ-13 (7.05.2014 წელი), რომელზეც გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.10.2013 წლის განჩინება.

გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11.07.2013 წლის განჩინება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ბ. მ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა. ამავე კოდექსის 332¹-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებთან ერთად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილი იწვევს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სსკ-ის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილ ამ კოდექსის 59-ე მუხლის რედაქციას აქვს უკუძალა იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც დანაშაულთა/განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელი დაენიშნა აღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე არსებული რედაქციის შესაბამისად.

მართალია, ბ. მ-ს მიმართ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 24.05.2013 წლის განაჩენი გამოტანილია 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის რედაქციის შესაბამისად განაჩენთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპის

გათვალისწინებით, მაგრამ ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელის დადგენისას, რომელსაც დამატებული აქვს წინა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 20.05.2010 წლის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, ზემოაღნიშნული ცვლილების თაობაზე სასამართლოს არ უმსჯელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლში შესული ცვლილებების საფუძველზე უნდა იმსჯელოს მსჯავრდებულის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის განაჩენის შესაბამისობაში მოსაყვანად (№1265აგ-13 27.03.14).

გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.06.2013 წლის განაჩენი რ. ა-ს მიმართ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო რუსთავის საქალაქო სასამართლოს 14.03.2013 წლის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

საკასაციო პალატამ განმარტა: სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც სამართალწარმოება არ არის დასრულებული, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის ახალი წესით დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სასამართლო საქმის (საჩივრის) განხილვისას. რ. ა-ს სისხლის სამართლის საქმეზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო წესით და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულს საბოლოო სასჯელი განესაზღვრა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით. შესაბამისად, ამ დროისათვის სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოება არ იყო დასრულებული, თუმცა აღნიშნულის პარალელურად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 12 ივნისის განჩინებით დასაშვებად ცნო, ხოლო 24 ივნისის განაჩენით დააკმაყოფილა რ. ა-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ და საბოლოო სასჯელი ასევე განუსაზღვრა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა არ იყო უფლებამოსილი, მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე ემსჯელა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოება არ იყო დასრულებული (№708აგ-13 14.02.14).

3. კონსტიტუციური წარდგინება

2014 წლის 13 ივნისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეაჩერა ბ. ი-ს საკასაციო საჩივრის განხილვა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა. საქმის მიხედვით, ბ. ი. გამართლებულია მისთვის წარდგენილ ბრალდებაში, თუმცა იგი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა მის მიერ გირაოს სახით შეტანილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის ნაწილში.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის საწინააღმდეგოდ, საქართველოს სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) შესაბამისი ნორმები გამორიცხავენ გამართლებული პირის მიერ საკასაციო (ისევე როგორც სააპელაციო) საჩივრის შეტანის უფლებას, კერძოდ, ამავე კოდექსის 546-ე მუხლის თანახმად, საკასაციო გასაჩივრების სუბიექტები არიან 518-ე მუხლში მითითებული პირები, ხოლო სსსკ-ის 518-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ სახელმწიფო

ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, დაზარალებულს, მსჯავრდებულს, დამცველს, მსჯავრდებულისა და დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენლებს.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატის მოსაზრებით საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 546-ე მუხლი და 518-ე მუხლის 1-ლი ნაწილი შესაძლოა მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამოდ.

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის საფუძვლად უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მიიჩნია შემდეგი:

1. საკასაციო პალატამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც, მართალია, არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, თუმცა, მიიჩნია, რომ მას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება;
2. საკასაციო პალატამ ასევე გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება, II.პ.14), რომ „ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს“. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლება ნიშნავს ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს;
3. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით, რომ „აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული ინდივიდის უფლების დაცვა ან მისი უფლებების აშკარა დარღვევის პრევენცია. სწორედ ამიტომ ფიზიკური პირი არის ალტურვილი უფლებით, ეჭვქვეშ დააყენოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა, თუ მიიჩნევს, რომ ასეთი აქტის მოქმედებით მან უშუალოდ განიცადა ზიანი ან ზიანის მიღების საფრთხე უშუალოდ მისთვის არის რეალური“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის №1/1/413 გადაწყვეტილება, II.პ.2);
4. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება უნდა შეფასდეს ასევე საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ალტურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული დანაწესი სასამართლო პრაქტიკით ასევე მოიცავს სასამართლოსადმი მიმართვასაც. უფლების შეზღუდვასთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ საქმეში „აშინგდენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (1985 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, პ.57) განსაზღვრა უფლების შეზღუდვის ზოგადი ფარგლები, კერძოდ: შეზღუდვები შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლს იმ შემთხვევაში, თუ იგი ემსახურება კანონიერ მიზანს და დაცულია გონივრული თანაბარზომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის;
5. საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილებაზე, რომელშიც მან დაადგინა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა განსაკუთრებული შეფასების საგანი უნდა იყოს ყველა შემთხვევაში: „საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სასამართლო ხელისუფლების იურისდიქციის შეზღუდვა - სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვით სასამართლო

კომპეტენციას განკუთვნილი საკითხების სასამართლო განსჯადობის სფეროდან გამოყვანა, *prima facie* საფრთხეს უქმნის როგორც ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ისე სასამართლო ხელისუფლების უნარს, შეაკავოს და გააწონასწოროს პოლიტიკური ხელისუფლება. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს მოქმედება განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შემოწმდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ“.

საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის (მოქმედი) სსსკ-იც არ ითვალისწინებს გამართლებულის მიერ განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო დონეზე, კერძოდ: მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ ბრალმძებელს, ზემდგომ პროკურორს, მსჯავრდებულს ან/და მის ადვოკატს. ანალოგიური შინაარსისაა ამავე კოდექსის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირთა წრის თვალსაზრისით.

4. დასკვნა

წინამდებარე ინფორმაციიდან გამომდინარე ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოების განაჩენების გამო 2014 წლის 6 თვეში საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეებზე დაშვებული დარღვევები გამოწვეული იყო:

- საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებით, კერძოდ, ერთ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება, ნაცვლად საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლისა, დაკვალიფიცირებული იყო სსკ-ის 19,108-ე მუხლით, ხოლო მეორე შემთხვევაში, ნაცვლად სსკ-ის 150-ე მუხლის I-ლი ნაწილისა, დაკვალიფიცირებული იყო სსკ-ის 19,160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;
- სს საპროცესო კოდექსის იმპერატიული დანაწესის – საუარესოდ შებრუნების აკრძალვის შესახებ უგულებელყოფით, რითაც დაირღვა სსსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა. კერძოდ: განაჩენთა ერთობლიობისას სახელმწიფო ბრალმძებელს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის და, შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბრალმძებელს ასეთივე პოზიცია ეკავა პირველი ან/და სააპელაციო ინსტანციის სასამართლო(ებ)ში;
- ნასამართლობის გაქარწყლების არასწორი განსაზღვრით, როცა ნასამართლობა, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, უნდა დადგინდეს დანაშაულის ჩადენის დროს მისი (ნასამართლობის) არსებობა/არარსებობით და არა გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს არსებული მდგომარეობით, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია;
- ვინაიდან მსჯავრდებულის მიმართ განსაზღვრული სასჯელი გადავადებული იყო, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ საქმეზე სამართალწარმოება არ იყო დასრულებული, რის გამოც გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად;
- გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქალაქო სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, რადგან სააპელაციო

- სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე ემსჯელა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოება არ იყო დასრულებული.
- ორ შემთხვევაში მსჯავრდებულები ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმების გამო, გამართლდნენ სსკ-ის 238¹-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებებში საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის გათვალისწინებით.
 - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა იმ მოსაზრებით, რომ საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 546-ე მუხლი და 518-ე მუხლის პირველი ნაწილი (ეს ნორმები გამორიცხავენ გამართლებული პირის მიერ საკასაციო (ისევე როგორც სააპელაციო) საჩივრის შეტანის უფლებას) შესაძლოა მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან – ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს – შეუსაბამოდ.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლის
და განზოგადების განყოფილება**